

## კულტურისა და შემოქმედებითობის ახლებური ბაზრება აღბილობრივი ბანკითარებისათვის

“პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ  
პროექტ EU4CULTURE-ს ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ  
გომეთუს ინსტიტუტი, ჩეხეთის ცენტრები, დანიის კულტურის  
ინსტიტუტი და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი.”

### #ZUGDIDI4CULTURE



“ეს კუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური  
დახმარებით. ამ კუბლიკაციის ფინანსი არის  
სრულყოფილად ზუბიდიძის მუნიციპალიტეტის მერიის  
პასუხისმგებლობა და მასში წარმოდგენილი მასალა არ ასახავს  
ევროკავშირის თვალსაზრისს.”

# ქ. ზუგდიდის კულტურის ბანკითარების სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი

კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესის განმსაზღვრელი სამუშაო დოკუმენტია, რომელსაც ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია წარმართავს.

კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან საჯარო და კერძო კულტურული დაწესებულებები და სექტორში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები; სფეროს ექსპერტები; ახალგაზრდა, დამწყები და დამოუკიდებელი ხელოვანები; ინდივიდუალური მეწარმეები და ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლები; ადგილობრივი სამიზნე და პროფესიული ჯგუფები და სხვა დაინტერესებული პირები.

აღნიშნული გზამკვლევი პროექტის „EU4Culture“ მხარდაჭერით შემუშავდა, რომელიც ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული და საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის მიერ ხორციელდება.

## I. დოკუმენტის ტიპი

კულტურის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში შემუშავდება 2 დოკუმენტი:

1. ქ. ზუგდიდის კულტურის განვითარების 5 წლიანი სტრატეგია 2022-2026 წლები.
2. ქ. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელების 2 წლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023 წლები.

ქ. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ინკლუზიურ სამუშაო პროცესს.

სამუშაო პროცესის შედეგად მიღებულ ორივე დოკუმენტს (ქ. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია 2022-2026 და ქ. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა 2022-2023) ამტკიცებს ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

სტრატეგიის აქტუალობის შენარჩუნების მიზნით, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, განხორციელდება მისი რეგულარული მონიტორინგი და განახლება (საჭიროების შემთხვევაში). წელიწადში ერთხელ გადაიხედება სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები, ხოლო სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების გადახედვა 2 წელიწადში ერთხელ მოხდება.

ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, ყოველი წლის ბოლოს, შეიმუშავებს და გამოაქვეყნებს, კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ყოველწლიურ ანგარიშს.

## II. პროცესი და პაღები

აქტივობა / ღონისძიება	თარიღი / პერიოდი	აღწერა / კომენტარი
სტრატეგიის შემუშავებაზე და პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება	2021 წლის ნოემბერი	პროცესის სწორად წარმართვის მიზნით, პირველ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის შიგნით ჩამოყალიბდება სტრატეგიის შემუშავებაზე და პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები.
კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევისა და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის გეგმის მომზადება	2021 წლის ნოემბერი	კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესის განმსაზღვრელი სამუშაო დოკუმენტია, რომელშიც დეტალურად აღწერილია სტრატეგიის და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები, ვადები და პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობები.
გახსნითი ღონისძიება: კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევის პრეზენტაცია	2021 წლის 6 დეკემბერი	<p>გახსნითი ღონისძიება დასაბამს აძლევს ქ. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესს და მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული პირისათვის გზამკვლევისა და კულტურის სტრატეგიის შემუშავების საუკეთესო მაგალითებისა და გამოცდილების გაზიარებას.</p> <p>ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ კულტურის პროფესიული სფეროს წარმომადგენლები: თეატრალური დასები, ანსამბლები, მუზეუმებისა და გალერეების წარმომადგენლები, მუსიკოსები, ესტრადის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ხელოვანები, ექსპერტები და სხვ.</p> <p>ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ღონისძიება შესაძლოა გაიმართოს ჰიბრიდულ ფორმატში.</p>

აქტივობა / ღონისძიება	თარიღი / პერიოდი	აღწერა / კომენტარი
მიზნობრივი, თემატური კვლევების მომზადება და ჩატარება	2021 წლის ნოემბერი - დეკემბერი	კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კულტურის სფეროში მიზნობრივი, თემატური კვლევების ჩატარებას. პროცესის ფარგლებში დაგეგმილია 3 მიზნობრივი კვლევის განხორციელება. მიზნობრივი კვლევების თემატიკა და მეთოდოლოგია შემუშავდება დარგის სპეციალისტებთან და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.
მიზნობრივი კითხვარების მომზადება და გავრცელება	2021 წლის ნოემბერი - 2022 წლის იანვარი	ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებებისა და განწყობების შესწავლის მიზნით, კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში, არაერთი მიზნობრივი კითხვარი შემუშავდება და გავრცელდება. კითხვარები დარიგდება ყველა დაგეგმილი ღონისძიების, ასევე ინტერნეტ საშუალებების გამოყენებით (სტრატეგიის მიზნობრივი ინტერნეტ და სოციალური გვერდების, ასევე ელ. ფოსტის მეშვეობით).
სექტორული სამუშაო შეხვედრები - პირველი ეტაპი	2021 წლის დეკემბერი	სამუშაო პროცესის დასაწყისში განისაზღვრება კულტურის სხვადასხვა სექტორისა და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებთან მიზნობრივი შეხვედრების ციკლი, რომელსაც სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელთან ერთად, წარუძღვება ექსპერტი. სულ გათვალისწინებულია 13 სექტორული შეხვედრის ორგანიზება.  პროცესში ჩართულნი იქნებიან კულტურის პროფესიული სფეროს წარმომადგენლები: თეატრალური დასები, ანსამბლები, მუზეუმებისა და გალარეების წარმომადგენლები, მუსიკოსები, ესტრადის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ხელოვანები, ექსპერტები და სხვ. თითოეულ სამიზნე/თემატურ ჯგუფთან ჩატარდება სულ მცირე 2 ერთ-დღიანი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის დროს მოხდება მონაწილეთა მცირე ჯგუფებად გადანაწილება სპეციფიური თემატიკისა და საკითხების კონცენტრირებული განხილვის მიზნით.

აქტივობა / ღონისძიება	თარიღი / პერიოდი	აღწერა / კომენტარი
		<p>სექტორალური სამუშაო შეხვედრების დროს გამოყენებული იქნება ე.წ. "პრობლემური ხის" და "სვოტ" ანალიზის მეთოდოლოგია, ზუგდიდის კულტურის სფეროში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების, მათი გამომწვევი მიზეზების, გამოსწორების გზების, ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე პოტენციური შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.</p> <p>ყოველი შეხვედრის ბოლოს მომზადდება შეხვედრის პროცესისა და მიღწეული შედეგების ამსახველი დეტალური ოქმი.</p> <p>ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეხვედრები შესაძლოა გაიმართოს ჰიბრიდულ ფორმატში.</p>
სამუშაო შეხვედრები სხვა თემ-ატურ/ფოკუს ჯგუფებთან - პირველი ეტაპი	2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის იანვარი	<p>სამუშაო პროცესის დასაწყისში განისაზღვრება სხვადასხვა სექტორის /თემ-ატური, ფოკუს ჯგუფები და დაიგეგმება მათთან სამუშაო შეხვედრები, რომლებსაც სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელთან ერთად, წარუძღვება ექსპერტი. პირველ ეტაპზე ჩატარდება 4 სამუშაო შეხვედრა. პროცესში მოწვეულნი იქნებიან ორგანიზაციები და ექსპერტები, რომლებიც მუშაობენ ბუნებისა და გარემოს დაცვის, გენდერულ, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიურ საკითხებზე.</p> <p>ყველა შეხვედრის დაგეგმარება მოხდება ინკლუზიურობის პრინციპის პატივისცემითა და დაცვით.</p> <p>ყოველი შეხვედრის ბოლოს მომზადდება შეხვედრის პროცესისა და მიღწეული შედეგების ამსახველი დეტალური ოქმი.</p> <p>ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეხვედრები შესაძლოა გაიმართოს ჰიბრიდულ ფორმატში.</p>

აქტივობა / ღონისძიება	თარიღი / პერიოდი	აღწერა / კომენტარი
კულტურის განვითარების სტრატეგიის პირველი სამუშაო ვერსიის შემუშავება	2022 წლის თებერვალი - მარტი	სექტორული და თემატური შეხვედრების შედეგებზე, განხორციელებულ კვლევებსა და კითხვარებზე, შეგროვებულ დოკუმენტაციასა და საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით, კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ, შემუშავდება, ფაქტებსა და მტკიცებულებებზე დამყარებული, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის პირველი სამუშაო ვერსია. დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება სპეციალურ ვებ და სოც. გვერდებზე. ის ასევე დაეგზავნება შეხვედრების ყველა მონაწილეს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესულ მხარეებს.
სამუშაო შეხვედრები და საჯარო კონსულტაციები კულტურის სექტორისა და სხვა თემატურ/ფოკუს ჯგუფების წარმომადგენლებთან - მეორე ეტაპი	2022 წლის მარტი	<p>ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის პირველი სამუშაო ვერსიის გამოქვეყნებისთანავე, დაიწება სამუშაო შეხვედრები და საჯარო კონსულტაციები კულტურის სექტორისა და სხვა თემატურ/ფოკუს ჯგუფების წარმომადგენლებთან. ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცემა საშუალება აზრი გამოთქვას აღნიშნულ სამუშაო დოკუმენტთან მიმართებაში.</p> <p>ყოველი შეხვედრის ბოლოს მომზადდება შეხვედრის პროცესისა და მიღწეული შედეგების ამსახველი დეტალური ოქმი.</p> <p>ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეხვედრები შესაძლოა გაიმართოს ჰიბრიდულ ფორმატში.</p> <p>დოკუმენტი საჯაროდ გამოქვეყნდება და ხელმისაწვდომი იქნება სპეციალურად შექმნილ ვებ და სოც. გვერდებზე. შენიშვნების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გაზიარება შესაძლებელი იქნება ასევე სპეციალურ ელ. ფოსტის მისამართზეც.</p>
კულტურის განვითარების სტრატეგიის მეორე, ჩასწორებული სამუშაო ვერსიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის მომზადება	2022 წლის აპრილი	სექტორული და თემატური შეხვედრების და საჯარო კონსულტაციების შედეგებზე დაყრდნობით, კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ, შემუშავდება, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის მეორე სამუშაო ვერსია, ასევე მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.

აქტივობა / ღონისძიება	თარიღი / პერიოდი	აღწერა / კომენტარი
		<p>დოკუმენტები საჯაროდ გამოქვეყნდება და ხელმისაწვდომი იქნება სპეციალურ ვებ და სოც. გვერდებზე. დოკუმენტები ასევე დაეგზავნება შეხვედრების ყველა მონაწილეს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.</p> <p>ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცემა საშუალება აზრი გამოთქვას აღნიშნულ სამუშაო დოკუმენტებთან მიმართებაში</p>
<p>კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადება</p>	<p>2022 წლის აპრილი</p>	<p>კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფი განიხილავს შეგროვებულ ინფორმაციას, შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება მოხდება დოკუმენტების საბოლოო ვერსიის შემუშავების დროს.</p> <p>დოკუმენტების საბოლოო ვერსია საჯაროდ გამოქვეყნდება და ის ხელმისაწვდომი იქნება სპეციალურ ვებ და სოც. გვერდებზე. დოკუმენტები ასევე დაეგზავნება შეხვედრების ყველა მონაწილეს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს</p>
<p>სამუშაო შეხვედრები და საჯარო კონსულტაციები კულტურის სექტორისა და სხვა თემატურ/ფოკუს ჯგუფების წარმომადგენლებთან - მესამე ეტაპი</p>	<p>2022 წლის აპრილი</p>	<p>ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის საბოლოო ვერსიის გამოქვეყნებისთანავე, დაიწყება სამუშაო შეხვედრები და საჯარო კონსულტაციები კულტურის სექტორისა და სხვა თემატურ/ფოკუს ჯგუფების წარმომადგენლებთან. ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცემა საშუალება აზრი გამოთქვას აღნიშნულ სამუშაო დოკუმენტთან მიმართებაში.</p> <p>ყოველი შეხვედრის ბოლოს მომზადდება შეხვედრის პროცესისა და მიღწეული შედეგების ამსახველი დეტალური ოქმი.</p> <p>ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეხვედრები შესაძლოა გაიმართოს ჰიბრიდულ ფორმატში.</p>

აქტივობა / ღონისძიება	თარიღი / პერიოდი	აღწერა / კომენტარი
		<p>დოკუმენტები საჯაროდ გამოქვეყნდება და ხელმისაწვდომი იქნება სპეციალურად შექმნილ ვებ და სოც. გვერდებზე. შენიშვნების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გაზიარება შესაძლებელი იქნება ასევე სპეციალურ ელ. ფოსტის მისამართზეც</p>
<p>კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიების მომზადება და ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა და დამტკიცება</p>	<p>2022 წლის მაისი</p>	<p>ყველა სექტორული და თემატური შეხვედრის შედეგებზე, განხორციელებულ კვლევებსა და კითხვარებზე, შეგროვებულ დოკუმენტაციასა და საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით, კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფი მოამზადებს და ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარადგენს კულტურის განვითარების სტრატეგიასა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმას.</p>
<p>კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტური და გამჭვირვალე შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება</p>	<p>2022 წლის მაისი</p>	<p>სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ მომზადდება და გასაჯაროვდება კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის ეფექტური და გამჭვირვალე შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები</p>
<p>შემაჯამებელი კონფერენცია</p>	<p>2022 წლის მაისი</p>	<p>შემაჯამებელი კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება ქ. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია 2022-2026 და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა 2022-2023.</p> <p>ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ასევე სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები და პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის შესაძლებლობები.</p> <p>ღონისძიებაზე მოწვეული იქნება პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე.</p> <p>ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ღონისძიება შესაძლოა გაიმართოს ჰიბრიდულ ფორმატში.</p>



ქ. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პროფესიონალების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდება შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგია. ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე:

<http://zugdidi.mun.gov.ge/ge/zugdidi4culture> და სპეციალურად შექმნილ სტრატეგიის სოციალურ (Facebook) გვერდზე <https://www.facebook.com/z4culture> რეგულარულად განთავსდება განახლებული ინფორმაცია მიმდინარე პროცესის, სამუშაო დოკუმენტებისა და ძირითადი პარტნიორების შესახებ. აღნიშნული სერვისების მეშვეობით, ასევე მიზნობრივად შექმნილი ელ. ფოსტის მისამართის გამოყენებით [zugdidi4culture@gmail.com](mailto:zugdidi4culture@gmail.com) ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, გამოავზავნოს თავისი შენიშვნები, რეკომენდაციები, მოსაზრებები და სხვ.

### III. უზენაესი ბაღანაწილება

#### ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია:

- ხელმძღვანელობს კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს;
- უზრუნველყოფს სხვა საჯარო დაწესებულებების პროცესში მონაწილეობას;
- პროცესის შესახებ მუდმივად აწვდის ინფორმაციას საზოგადოებას;
- უზრუნველყოფს პროცესში კულტურის სფეროს სხადასხვა საჯარო და კერძო დაწესებულების აქტიურ მონაწილეობას;
- უზრუნველყოფს პროცესში სხვა სფეროებისა და სექტორების წარმომადგენელთა აქტიურ მონაწილეობას;
- შეიმუშავებს დოკუმენტებს, უზრუნველყოფს მათ განხორციელებასა და მონიტორინგს, ამზადებს ანგარიშებს.

#### კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფი:

- კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევს ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფი;
- კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფი პასუხისმგებელია კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, მეთოდოლოგიური გზამკვლევის შემუშავებაზე, მონაცემებისა და სხვადასხვა სექტორებიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებაზე;
- საჯარო განხილვის მიზნით, ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავებს კულტურის განვითარების სტრატეგიასა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმას;
- კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფს ხელმძღვანელობს კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს, წარმართავს სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, მონაწილეობს სექტორულ და თემატურ შეხვედრებში, უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის წევრთა შორის ფუნქციონირებას სწორ გადაწყვეტილებასა და მათზე დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის ხელსაყრელ სამუშაო პირობებსა და გარემოს.

## ადგილობრივი ექსპერტები/კონსულტანტები:

- კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან დარგის წამყვანი ადგილობრივი ექსპერტები, რომელთა დაკონტრაქტება ხდება, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, პროექტის თანა-აპლიკანტის მიერ;
- ექსპერტები/კონსულტანტები კონსულტაციას უწევენ ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების დაგეგმვასა და მისი სტრუქტურის გამართვაში;
- საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტს გაუზიარებენ კულტურის სტრატეგიის შემუშავების წარმატებულ მაგალითებსა და მეთოდოლოგიას;
- ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას, დაეხმარებიან დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებასა და წარმართვაში;
- სტრატეგიის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფენ სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერას, სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიურ მხარდაჭერასა და მის განხორციელებას (სექტორული შეხვედრების მეთოდის მომზადება და პროცესის მოდერირება; მიზნობრივი კვლევების საჭიროების და მეთოდოლოგიის განსაზღვრა; ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების მოდერირება; ფართო აუდიტორიის კითხვარების მომზადება; სტრატეგიის პირველადი ვერსიის მომზადების პროცესის მართვა; კულტურის სექტორებთან კონსულტაციების მოდერირება; სტრატეგიის საბოლოო ვერსიისა და სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესის მართვა).

## ადგილობრივი და საქართველოს პარტნიორები:

პოლიტიკის შემუშავების წამყვანი კვლევითი ცენტრები, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, უზრუნველყოფენ რეგულარულ კონსულტაციებს და ექსპერტიზას კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში. მათი მხარდაჭერით უზრუნველყოფილი იქნება ინოვაციური და ცოდნაზე დაფუძნებული რეკომენდაციების გაზიარება, სტრატეგიული მენეჯმენტისა და პროექტის წარმატებით მართვის მიზნით:

- Creative Spark - საქართველო
- Creative Strategies Lab – საქართველო
- Creativity Lab – ესტონეთი
- Culture Venture - მაღტა

ქალაქ ზუგდიდისა და მისი მაცხოვრებლებისათვის კულტურა, ხელოვნება, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა, განსაკუთრებულად გამორჩეული და ღირებულია. ამას განაპირობებს მუნიციპალიტეტში არსებული მთელ რიგ ფაქტორთა ერთობლიობა, მათ შორის: კოლხეთისა და სვანეთის უძველესი კულტურა, უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლები და მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკე ადგილები, ჭარბტენიანი კოლხეთის დაბლობი და მისი იშვიათი ბუნება, უკიდურესად მაღალი ზემო-სვანეთის მთები, შავი ზღვის აკვატორია და განვითარებადი კურორტული ზონები.

აღნიშნულის მიუხედავად ქ.ზუგდიდს არასდროს გააჩნდა ადგილობრივი კულტურის განვითარების მოკლე თუ გრძელვადიანი ხედვა, დამტკიცებული სტრატეგია ან თანმიმდევრული სამოქმედო გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს დამტკიცებულ იქნა კულტურის გრძელვადიანი სტრატეგია 2025, აღნიშნული დოკუმენტი მისი მოცულობიდან გამომდინარე ვერ ასახავს კონკრეტული ზუგდიდს მუნიციპალიტეტის სპეციფიურ ამოცანებსა და პრიორიტეტებს და არ არის კონცენტრირებული ერთი რომელიმე ქალაქის სპეციფიურ გამოწვევებსა და საჭიროებებზე. მეტიც, აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებიდან 6 წელი გავიდა და დღეს არსებული გამოწვევების ფონზე, მნიშვნელოვანია მისი განახლება.

აქედან გამომდინარე, ადგილობრივი კონტექსტისა და სპეციფიურობის, არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების, კულტურული და შემოქმედებითი რესურსისა და პოტენციალის, ასევე სხვა ადგილობრივი, რეგიონული თუ საერთაშორისო ტენდენციებისა და ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება განსაკუთრებით დროული და მნიშვნელოვანია. იგი ჰარმონიზაციაში უნდა იყოს ქალაქის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ამოცანებთან, რომელიც სიტუაციური ანალიზის საფუძველზე, კულტურის სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს, და შემდგომში, კონკრეტული ქმედებების საფუძველზე, ქალაქის დინამიურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად დოკუმენტის შემუშავების პროცესი, რომელიც საშუალებას მოგვცემს კონსოლიდირება მოვახდინოთ ადგილობრივი სამიზნე და პროფესიული ჯგუფების; საჯარო თუ კერძო კულტურული დაწესებულებებისა და სექტორში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების; სფეროს ექსპერტების; ახალგაზრდა, დამწყები და დამოუკიდებელი ხელოვანების; ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლების; ინდივიდუალური მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირების. მათი აქტიური ჩართულობა საშუალებას მოგვცემს ღია და გამჭვირვალე დისკუსია წარვმართოთ ქალაქში კულტურის ჭრილში არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე, პრიორიტეტულ ამოცანებსა და კულტურის განვითარების მოკლე და გრძელვადიან მიზნებზე.

კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს, კულტურის, ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების, როგორც ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეფექტური მექანიზმის შესახებ, საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის გაზრდას წარმოადგენს. ეს კი საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმირებულობის ყველა ხელშემწყობი პირობის შექმნითა და ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენებით გახდება შესაძლებელი.

კულტურული ღირებულების თვალსაზრისით, კულტურის განვითარების სტრატეგია ხელს შეუწყობს ქალაქის შემოქმედებითი და კულტურული პოტენციალის სიღრმისეულ შესწავლასა და გაანალიზებას, შემდგომი ეტაპობრივი განვითარებისათვის, მიზნობრივი, წერტილოვანი და თანმიმდევრული განვითარების ხედვისა და მათი გადაჭრის კონკრეტული გზების განსაზღვრისათვის. გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ ხელოვნებისა და კულტურის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო, რომელიც თავისმხრივ, ქალაქის სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით არსებული გამოწვევების კრეატიული მიდგომებით მოგვარების საშუალებას მოგვცემს.

კულტურის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს ზუგდიდის, როგორც კულტურულ ჰაბად ჩამოყალიბება და ქალაქის გამორჩეული როლის წარმოჩენა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მთავარი კულტურული მოვლენების ეპიცენტრი დედაქალაქია, რაც გარკვეულწილად ჩრდილავს რეგიონების სრულფასოვან განვითარებას.

ეკონომიკური ღირებულების თვალსაზრისით, სტრატეგიის შემუშავების პროცესიც და თავად დოკუმენტიც, კონცენტრირებული იქნება კულტურის ეკონომიკური განვითარების პოტენციალისა და შესაძლებლობების წარმოჩენასა და ეფექტურად გამოყენებაზე. დღეს უკვე არაერთი საერთაშორისო კვლევით დასტურდება, რომ კულტურას და შემოქმედებას მრავალწახნაგოვანი ეფექტი აქვს და ის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების კატალიზატორი და მნიშვნელოვანი ხელმშემწყობი რესურსია.

კულტურის განვითარების სტრატეგია ორიენტირებული იქნება ხელოვნების მიერ შექმნილი კულტურული პროდუქტის სათანადოდ წარმოჩენასა და მის მომგებიან და ეკონომიკურად სასარგებლო რესურსად გარდაქმანაზე; მისი მიმზიდველობის და მასზე მოთხოვნის გაზრდაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება კულტურული პროდუქტის მომგებიანობის გაზრდა. ავთენტური ადგილობრივი კულტურული პროდუქტი გაზრდის ქალაქის ცნობადობას ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და შექმნის ქალაქის სტაბილური ეკონომიკური განვითარების წინაპირობას. კულტურული პროდუქტის შექმნა ბევრად უფრო პოპულარული გახდება, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა დაინახავს მის რეალურ სარგებელს და ამ მიმართულებით ნებისმიერი მხარდაჭერა აღქმული იქნება როგორც ინვესტიცია.

სტრატეგიის ეკონომიკური ეფექტი იქნება ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის უფრო ეფექტური და მიზანმიმართული დაგეგმარება და განკარგვა, რაც გამოიწვევს სახელმწიფო რესურსების მიზნობრივ და რაციონალურ განაწილებას; უზრუნველყოფს კულტურის სფეროს კომერციალიზაციას, რაც სტიმულირებას გაუწევს ბიზნესის განვითარებას, ასევე ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების აკუმულირებას.

გარემოსდაცვითი ღირებულების თვალსაზრისით, კულტურის განვითარების სტრატეგია საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ადგილობრივი გარემოს, ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების წინაშე არსებული გამოწვევები და მათი გავლენა ქალაქის კულტურულ, განსაკუთრებით კი, ურბანული, ისევე როგორც კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ლანდშაფტსა და მდგომარეობაზე. გლობალური დათბობისა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების პირობებში, განსაკუთრებით აქტუალური ხდება ბუნებრივი და კულტურული (როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური) მემკვიდრეობის დაცვა, კონსერვაცია და მოვლა.

კულტურის განვითარების სტრატეგია დაგვეხმარება ქალაქის სწორი ურბანული განვითარების მიმართულებითაც. ისეთი თანამედროვე მიდგომების გააზრებითა და ინტეგრირებით, როგორცაა მაგალითად “ბაუ კულტურ”, საშუალება მოგვცემს ქალაქის განვითარებას საერთო კულტურული ლანდშაფტისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ჭრილში წარმოვაჩინოთ.

სოციალური ღირებულების თვალსაზრისით, როგორც სტრატეგიის შემუშავების პროცესი, ისე თავად დოკუმენტიც, კონცენტრირებული იქნება ზუგდიდის მოსახლეობის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გააზრებაზე, გამოვლენასა და მოგვარებაზე; ამ გზით, კულტურის სოციალური განვითარების პოტენციალისა და შესაძლებლობების წარმოჩენასა და ეფექტურად გამოყენებაზე. სტრატეგიის შემუშავების პროცესი დაფუძნებული იქნება გამჭვირვალობასა და ინკლუზიურობაზე, რაც ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის წარმართვას, საზოგადოების კონსოლიდირებას, მონაწილეობითი სულისკვეთების გამყარებასა და გამოწვევებთან გამკლავების ერთობლივი გზების გამოვლენას. კრეატიული მიდგომების იდენტიფიცირებით, შესაძლებელი იქნება, სოციალური თვალსაზრისით, საზოგადოების დღისწესრიგის წინაშე არსებული საკითხების, კულტურისა და შემოქმედების გამოყენებით მოგვარება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეთნიკური, რელიგიური, ინკლუზიური მრავალფეროვნების ხელშეწყობასა და შენარჩუნებას, რაც თავის მხრივ ზუგდიდის კულტურულ-ისტორიულ რეალობას წარმოადგენს.

პოლიტიკური ღირებულების თვალსაზრისით, ჩვენი ამოცანა იქნება კულტურისა და ხელოვნების სექტორის დეპოლიტიზირება და დეცენტრალიზაცია. ამ მიმართულებით კი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდაზე ორიენტირებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემუშავება/დანერგვა. დარწმუნებულები ვართ, რომ კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მაქსიმალურად ინკლუზიური, გამჭვირვალე და მონაწილეობითი გარემოს შექმნით, მივიღებთ ისეთ დოკუმენტს, რომელიც გასაგები და მისაღები იქნება განსხვავებული პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების მქონე ადამიანებისთვის, რაც, თავისმხრივ, სტრატეგიის განხორციელებისა და მისი მდგრადობის გარანტია იქნება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კულტურის და ხელოვნების პოტენციალისა და როლის წარმოჩენაზე ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე არსებულ სხვა სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებების თემატურ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.

## V. კულტურის განვითარების სტრატეგიის ხედვა

კულტურის განვითარების სტრატეგიის მთავარი ხედვა ადამიანზე, მისი უნარებისა და ნიჭის გამოვლენაზე, განვითარებასა და მის პიროვნულ გაძლიერებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. დღეს ქალაქის კულტურის პოლიტიკის ძირითადი გამოწვევა სწორედ კულტურის გრძელვადიანი ხედვის არარსებობა და კულტურის ვიწრო, სწორხაზოვან ხედვაში მდგომარეობს.

სტრატეგიამ უნდა წარმოაჩინოს და განსაზღვროს ხელოვნებისა და კულტურის ჭეშმარიტი პოტენციალი და როლი ქალაქისა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების საქმეში.

ამის წინაპირობა კი თავად სტრატეგიის შემუშავების პროცესი გახდება, რომელიც იქნება ინკლუზიური, გამჭვირვალე და მონაწილეობითი. განსაკუთრებული აქცენტები უნდა გაკეთდეს მრავალეთნიკური, გენდერული, მულტიკულტურული, და ინკლუზიური თანამონაწილეობის საკითხებზე.

რეალისტური, ადეკვატური, ფაქტებსა და ცოდნაზე, ისევე როგორც მტკიცებულებებზე დამყარებული სტრატეგიის შესამუშავებლად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თემატური კვლევების, შეფასებების, ანალიზისა და სტატისტიკური მონაცემების ბანკის/მონაცემთა ბაზის შექმნას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნება აქტიური თანამშრომლობა უმაღლეს სასწავლებლებთან, იქ დასაქმებულ პროფესორებთან და სტუდენტებთან.

სტრატეგიის პრიორიტეტული სექტორები თანხვედრაში იქნება ქალაქში არსებული გამოცდილების, ტენდენციებისა და ჩამოყალიბებული ტრადიციების. უკვე იდენტიფიცირებული სექტორებიდან ნიშანდობლივი იქნება:

- სახვითი ხელოვნება;
- ტრადიციული რეწვა და ხელობა;
- მუსიკა;
- კულტურული მემკვიდრეობა;
- არქიტექტურა;
- საშემსრულებლო ხელოვნება;
- ლიტერატურა და საგამომცემლო საქმიანობა.

სტრატეგიაში ასევე წარმონიშნული იქნება ზუგდიდისთვის ისეთი ახალი სექტორების განვითარება, როგორებიცაა:

- თანამედროვე ხელოვნება;
- კინემატოგრაფია;
- მოდა და დიზაინი;
- კულტურული ტურიზმი;
- გასტრონომია;
- ციფრული/დიגיტალური ტექნოლოგიები;
- ვიდეო თამაშები;
- მაუწყებლობა და მედია;
- რეკლამა.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სახელოვნებო განათლების მნიშვნელობაზე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს, ისე პროფესიულ საფეხურზე. ხაზი გაესმევა კულტურის სფეროში არაფორმალური განათლების აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

კულტურის სექტორში ადამიანური რესურსის გაძლიერებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, პრიორიტეტი მიენიჭება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების პროფესიული უნარების გაზრდასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მიზნით, გათვალისწინებული იქნება ტრენინგები, სემინარები, მასტერკლასები, გაცვლითი და სხვა საგანმანათლებლო, შექმენებითი პროგრამები.



## REIMAGINING CULTURE AND CREATIVITY FOR LOCAL DEVELOPMENT

“The project is funded by the European Union in the framework of the EU4Culture project and implemented by the Goethe-Institut, Czech Centers, Danish Cultural Institute and Institut Français en Géorgie.”

#ZUGDIDI4CULTURE



“This publication was produced with the financial support of the European Union. Its contents are the sole responsibility of Zugdidi Municipality and do not necessarily reflect the views of the European Union”



## Roadmap for Zugdidi Cultural Development Strategy elaboration process

This Roadmap is a working paper clarifying the organisation and implementation of a process for the elaboration of a Zugdidi Cultural Development Strategy under the administration of the Zugdidi City Municipality and with the participation of relevant actors from cultural and creative sectors as well as other stakeholders and interested groups.

Representatives of public, private and non-governmental sectors, professionals from arts and culture fields - theatrical troupes; ensembles; representatives of museums and galleries; musicians; independent, young and amateur artists; experts as well as organizations working on issues related to environment; gender; people with disabilities; ethnic minorities and religious issues will be invited to be actively engaged in the cultural development strategy elaboration process.

This Roadmap was developed with the support of the EU4Culture project, funded by the European Union and implemented by the Goethe Institute in Georgia.

### I. Type of the document

Two documents will be elaborated as a result of the process:

1. 5-year Zugdidi Cultural Development Strategy – 2022-2026.
2. 2-year Action Plan for the implementation of the Zugdidi Cultural Development Strategy – 2022-2023.

Zugdidi City Municipality leads and coordinates the process of elaborating a cultural development strategy.

With an objective to ensure transparent and inclusive work process, participation of all stakeholders throughout the strategy development process will be ensured.

Both of the documents elaborated as a result of the process (Zugdidi Cultural Development Strategy 2022-2026 and Zugdidi Culture Development Strategy Action Plan 2022-2023) will be adopted by Zugdidi Municipality City Council.

